



ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი

№12(92)

დეპარტამენტი
2021 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა
ირაკლი ლარიბაგვალმა საზოგადოებას
წერილობი არჩევნობის წარუდგინვ

A formal portrait of Prime Minister Joseph Muscat. He is seated at a desk, facing slightly to his left. He is wearing a dark blue suit, a white shirt, and a dark tie. A small white rectangular pin or badge is visible on his left lapel. In front of him is a black microphone on a stand. To his right is a large flag of the European Union, featuring the yellow stars on a blue background. To his left is the flag of Malta, which consists of a red cross on a white background. The background is a plain, light-colored wall.

**პრეზიდენტ საქონლის განკუთიონის
სახელმწიფო პრეზიდენტის მიერ**

5



ՀՅԱԳՏԱՊԱԼՈՅ

ბილოცავი
დაგდებ ახალ
ლეპტი

9

მცხოვრის-ათიანეობის
გუბერნატორება
დაკით ცენტრალურ
მაცხოვანი იუსტიციაშის
აქტების არჩევულ
სელექციას დაგენერირდა
საუკუნეო უსახლდება

**პირველი 10 იანვრამდე საჯარო ენცებები
უქმნა დღევაში გამოიკვლევა**

1-დან 10 იანვრამდე საჯარო უწყებებში უქმე დღეები გამოცხადდა, – ალნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მობილობის შემცირების მიზნით მიიღო. ანალოგიური რეკომენდაციით მიმართავს საბჭო კრძალა დაწესებულებებსაც.

სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბ-აშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინის-ტრაციაში გაიმართა, ალინიშნა, რომ 29 დეკემბრიდან 17 იანვრამდე არდადიგები გამოყალიბებულია სკოლებში.

ამასთან, საბჭომ იმსჯელა საქართველოში არსებულ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე. როგორც ცნობილია, 20 დეკემბერს ქვეყანაში დაფიქსირდა კორონავირუსის ახალი შტამი – „ომიკრონი“.

დასასრული მეტ გვერდზე

ტესტის გადაღების პროცესის შემთხვევა

4

პრეზიდენტმა
სალომე
ზურაბიშვილმა
ორგელიანების
სასახლეში დავით
ბაკუმაძეს
სასახლეზე
ნაძვის სის ზემოქმედ
უმასპინძლა



სახელმწიფო მინისტრი თუა აპილების
ნარჩენის დაცილებულ დასაქმეებს აწევს

ՈԱՐԱԿՈՎ ՍԱԵԼԻՔ ՏԱՐԱՆՑԻՐ ԿՐԹԾՒՅԹՈՎ
ՉԱՐՑԸՆԿՑՈՒՅԹ ԱԽԱԼԾՐԱԿՈՎ ՇԱԿԱՆԱԿԱՆ
ԹՅՈՒՆ ՀՃՈՒՅ ԾԱԿԱՆՈՒՅՆ ՇԱԿԱՆԱԿԱՆ



ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა (GGP) წარმოადგენს საქართველოში იპონის საელჩოს ერთ-ერთ საგრანტო სქემას, რომლის ამოცანაა ხელი შეუწყოს ადგილობრივ მოსახლეობას ადამიანის საბაზისო საჭიროებების დაკამაყოფილებასა და ადამიანის უსაფრთხოების გაძლიერებაში. დაფინანსება მოიცავს მათ შორის, პროექტებს, რომლებიც მიმართულია ადამიანის გადარჩენის, სიცოცხლის, ადამიანის ღირსების დაცვისკენ. ასევე, დაფინანსება მოიცავს ქმედებებს, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანებისა და ადგილობრივი თემის შესაძლებლობების განვითარებაზე.

დასასრული მე-2 გვერდზე

ესებისა და ნოველების ქრექტაში „ეს და მაილობა“ გამარჯვებულები გამოვლილენა 6

იურიდიკული სამსახურის პროგრამის შექმნაში ახალგორის უცნობისადგიტეტისთვის მიზან ტექნიკას შეიძენს

პირველი გვერდიდან

საქართველოში მუშაობის ორი ათწლეულის განმავლობაში, 1998—2020 წლებში, ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის (GGP) ფარგლებში იაპონიის საელჩომ დააფინანსა 180 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულებამ 19 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. აღნიშნული პროექტებით განვითარდა სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, მუნიციპალიტეტებში განახლდა ნარჩენების მანქანები, სახანძრო მანქანები და სხვა მძიმე ტექნიკა, ათასობით ჰექტარი გაიწმინდა ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან, აშენდა და აღიჭურვა ათობით სკოლა, საბავშვო ბალი, სამედიცინო ცენტრი და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. აღნიშნული მიმართულებები წარმოადგენენ წარსულში დაფინანსებულ პროექტებს, საგრანტო პროგრამის ფარგლები შესაძლოა ბევრ სხვა თემას თუ სექტორს მოიცავდეს.



2 დეკემბერს ხელი მოეწერა სამ პროექტს, რომლის ფარგლებშიც ხელვაჩაურის, ქუთაისისა და ახალგორის (ფრეზეთის, წეროვანისა და წილაკის დევნილთა დასახლებები) მუნიციპალიტეტებისთვის შეძენილი იქნება მძიმე ტექნიკა. მძიმე ტექნიკის დახმარებით, გაძლიერდება მუნიციპალიტეტების შესაძლებლობები ბუნებრივი კატასტროფებისადმი მზაობისა და შედეგების ეფექტურად დაძლევისთვის. ასევე, ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებს გაუმჯობესებულ მუნიციპალურ ინფრასტრუქტურულ სერვისებს, როგორებიცაა, გზების, კანალიზაციის, სასმელი და სანიაღვრე წყლის სისტემები. გრანტის საერთო მოცულობა არის 221,626 ამერიკული დოლარი.

მცხეთა-მთიანეთის გუბენისტორმა დავით ერზაქვაძე მუნიციპალიტეტების ახლად არჩეულ ხელმძღვანელების სამუშაო უცნობის გამართა



მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ნოზაძემ მუნიციპალიტეტების მერებთან, საკრებულოების ახლადარჩეულ თავმჯდომარეებთან და მათ პირველ მოადგილეებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში დავით ნოზაძემ, პირველ მოადგილე გიორგი ჩიფრიურთან და მოადგილეებთან - გორგა ქავთარაძესთან და გიორგი კაპანაძესთან ერთად, სხვადასხვა საკითხი მიმოიხილა. მათ შორის საუბარი შეეხო მოსახლეობის საჭიროებებს, არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს.

როგორც მხარის პირველმა პირმა აღნიშნა, ხალხთან ინტენსიური კომუნიკაცია რეგიონის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. ამიტომაც, დავით ნოზაძემ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოსახლეობასთან კოორდინირებული და აქტიური მუშაობისები მოუწოდა.

ამასთან, სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ გიორგი ჩიფრიურმა და მოადგილეებმა - გიორგი კაპანაძემ და გორგა ქავთარაძემ შეხვედრის მონაწილეებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს და წარმატებული საქმიანობა უსურვეს.

თავის მხრივ კი, მერებმა, საკრებულოების თავმჯდომარეებმა და მათმა პირველმა მოადგილეებმა მჭიდრო თანამშრომლობისათვის მზადყოფნა გამოთქვეს და აღნიშნეს, რომ მომავალი წლები რეგიონისათვის ნაყოფიერი იქნება.

შეხვედრას ესწრებოდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი წუგზარ თინიკაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი

რედაქტორი ანა ჭურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279

სახელმწიფო მინისტრი თეა ახელოების წეროვის დევნილობა დასახლებას ენვია

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, წეროვნის დევნილთა დასახლებაში იმყოფებოდა სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში თეა ახვლედიანი.

შეხვედრას, რომელიც გაიმართა ახალგორის მუნიციპალიტეტის ნუგზარ ფსუტურის სახელობის კულტურის სახლში, ესწრებოდნენ: მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი ზვიად ზვიადაძე, დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის მოადგილე გიორგი მანჯავიძე, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თანიკაშვილი, საკურებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი.

საუბრის მთავარი თემა საოცავაციო ხაზს იქით და აქეთ მყოფი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას და საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნების მნიშვნელობას შეეხებოდა.

სახელმწიფო მინისტრმა ისაუბრა სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობაზე და საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის პრიორიტეტზე.

„დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად განსაზღვრავს, სამწუხაროდ, საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა კვლავ ებრძვის უკანონ



ოკუპაციის მძიმე შედეგებს, საკუთარი ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას და საოცავაციო რეჟიმის უკანონობრივი ქმედებების შედეგად შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისს, რაც ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება.

ადგილზე არსებული მძიმე ჰუმანიტარული და უფლებრივი ვითარების პირობებში, საქართველოს მთავრობა იყენებს ყველა მის ხელთ არსებულ ბერეტს, საერთაშორისო მექანიზმს და ძალონებს არ იშურებს, რათა იზრუნოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და გამყოფ ხაზებთან მცხოვრებ მოსახლეობაზე და სამშვიდობო ინიციატივების განხორციელების გზით ხელი შეუწყოს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სწორედ კონფლიქტით დაზარალული მოსახლეობის კეთილდღეობა, მათი უფლებები და ინტერესები საფუძვლად უდევს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვის



პროცესს, რომელიც ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით და პირველ რიგში, კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს“. – აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ თანიკაშვილმა თავის მხრივ ისაუბრა დევნილების საჭიროებებზე. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. სახელმწიფო მინისტრმა სტუმრებთან ერთად მოინახულა და საჩუქრები გადასცა წეროვნის საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს.



საქართველოს პრეზიდენტის მიერ განკუთხული საბუღალტო სამინისტრო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა საზოგადოებას წლიური ანგარიში წარუდგინა. მთავრობის მეთაურმა 2021 წლის განმავლობაში მთავრობის მიერ განცემული საქმიანობა შეაჯამა, ასევე ისაუბრა განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე.

პრემიერმა სიტყვით გამოსვლა მოსახლეობისთვის მადლობის გადახდით დაიწყო.

„მინდა, მადლობა გადავუხადო
ჩვენს ხალხს, მადლობა იმ ნდობისა
და ერთგულებისთვის, რომელიც
მათ გამოგვიცხადეს არჩევნებში.
ხალხი არის ძალუფლებისა და
ლეგიტიმაციის წყარო, ჩვენ, ხელი-
სუფლებამ კი, მიღებული მანდატი
გაკეთებული საქმით, ერთგულებითა
და თავდადებით, შექმნილი
სიკეთეებით ხალხსვე უნდა
დავუზრუნოთ. ჩვენმა გუნდმა გა-
მორჩეულად საქმიანი და მშვიდო-
ბიანი საარჩევნო კამპანია ჩაატარა,
მოსახლეობას მასშტაბური და ამავ-
დროულად რეალისტური, დროში

ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ, ԻՆ ԿԵՐՊՈՒԹՅԱՆ

2022 წლის 03 ნოემბრის

70 წლამდე პირთა პენსია გახდება - 260 ლარი, მაღალმოცან მოსახლეობაში - 312 ლარი.

70 წლის და მეტი ასაკის პირ-
თათვის — 300 ლარი, მაღალმთიან
დასახლებებში 360 ლარი.

კეტერანთა 22 და 44 ლარიანი
დახმარება 100 ლარამდე იზრდება.
ყოველწლიურად იზრდება სო-
ციალური რეაბილიტაციის და
ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ბიუ-
ჯეტი. გასულ წელს ბიუჯეტი 37,4
მილიონ ლარს, წელს კი - 40 მილ-
იონ ლარს შეადგენდა. მომდევნო
წლის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად,
52 მილიონ ლარამდე გაიზარდა.
გაიზრდება სოციალური მომსახ-
ურებების გეოგრაფიული ხელმის-
აწვდომობა, სხვადასხვა სერვისე-
ბის და ახალი მომსახურებების
დაფინანსება.

თბილისისა და რეგიონების სასწარაფო სამედიცინო დახმარების პერსონალის ანაზღაურება თანაბრტყება.

განერილი გეგმები წარუდგინა და 63 მუნიციპალიტეტში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენ არავის დავუხრით თავს, არც არავის კუურებთ ზემოდან, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც ჩვენს ამაყ და თავისუფლების მოყვარულ ქართველ ხალხს ეკუთვნის და ამას ყველამ სათანადო პატივი უნდა სცეს. ჩემი პრემიერობის პირობებში, არცერთი მოქალაქე არ იდგება კანონზე მაღლა და არცერთი მოქალაქე არ იდგება კანონზე დაბლა, მაგრამ როცა საქმე ეხება კანონისა და კონსტიტუციის დაცვას ჩვენ ნებართვას არავის შევეკითხებით, კანონი ყოველთვის აღსრულდება!”, - აღნიშნა ირაკლი ლარიბაშვილმა.

პრემიერმა პანდემიის შემდგომ
ეკონომიკის აღდგენის პროცესზე
ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2022
წელს დაგეგმილია მინუმუმ 6%-
იანი ეკონომიკური ზრდა, ხოლო
ეკონომიკის მთლიანი მოცულობა
65 მილიარდი ლარი იქნება, რაც
ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი
შიდა პროდუქტის გადაანგარიშე-
ბის მიხედვით ისტორიულ მაქსი-

მუმს შეადგენს და 5 500 დოლარს
გადააჭარბებს.

მთავრობის მეთაურის თქმით,
მომავალი წლის ბიუჯეტში გათ-
ვალისნინებულია საჯარო სექტორ-
ში ხელფასების 10%-ის ოდენობით
მატება, რაც მომდევნო წლებშიც
სისტემატურად გაგრძელდება.

ირაკლი ლარიბაშვილმა ასევე
ისაუბრა პანდემიის დამარცხებაში
ვაქცინაციის მნიშვნელობაზე და
განაცხადა, რომ მთავრობამ ქვეყა-
ნაში 5 მილიონამდე ვაქცინა ჩამოი-
ტანა, დღეისთვის 2 მილიონზე
მეტი აცრა გაკეთდა და მილიონზე
მეტი ადამიანი აიცრა, თუმცა ეს
საკმარისი არ არის.

„ევროკავშირმა აღიარა ქართული კოვიდ-სერტიფიკატები და საქართველო შეუერთდა ევროკავშირის შესაბამის ერთიან ციფრულ სისტემაზე. ეს მნიშვნელოვანი გარემოა და მას მიერ არ არის დაუდინოვანი.

სისტემას", - აღნიშნა პრეზიდენტი.
მთავრობის მეთაურმა ასევე
შეაჯამა ბრიუსელში გამართული
ვიზიტი და აღმოსავლეთ პარლიო-
რობის სამიტი, რომელიც საქართ-
ველოს მოქალაქეებისთვის კონკ-
რიტული, ხელშესახები შეფეხებით

დასასრული მე-8 გვერდზე

ტებერჯულობის ეროვნულა ცენტრისა წერმავნი უფასო გაერკვლავი ჩატარება

6 დეკემბრიდან
10 დეკემბრის ჩათ-
ვლით წეროვნის
დევნილთა დასახ-
ლებაში, ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გამგეობის შენო-
ბასთან განლაგე-
ბულ მოძრავ სა-
მედიცინოპუნქტში,
ტუბერკულოზის
ეროვნულმა ცენ-
ტრმა მოსახლეო-
ბისათვის აუხოლით



პროექტს ტუბერკულოზის ცენტრი გლობალურ ფონდთან ერთად მსოფლიო ბანკის დამოწმენის მიზანით ახორციელებს.

სხვათასხვა მომსახურებით ისარგებლოა 50-ზე მეტმა პაციენტმა.

პროცესის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი წევზარ თინიკაშვილი.

კონტ დავით ახლოურს გალაკტიონის სახელმწიფოს პრემია მიენიჭა



ახლახან ქსნიხეობელ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალის, შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარეს დავით ახლოურს გალაკტიონ ტაბიძის პრემია მიენიჭა. მან მადლიერება ასე გამოხატა თავის გვერდზე სოციალურ ქსელში:

„მახსოვს, ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, როცა ჩვენი ხეობის სათავანონ პოეტს მანანა ჩიტიშვილს გალაკტიონ ტაბიძის პრემია მიენიჭა. „ორმაგად გამახარა ამ ამბავშა; ქალბატონი მანანა ხომ ახალგორის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში

- კორინთაში დაიბადა“ – ვწერდი გაზეთ „ლიტერატურულ ცხინვალში“... მერე ყველას ვესაუბრებოდი, ჩემს ახალგორელებს სიამაყით ვაცნობდი ამ ამბავს...

„დრო მოვა და გალაკტიონის პრემიას შენც მოგილოცავთო“ – მითხრა ჩემმა პირველმა რედაქტორმა ანა ყურშავიშვილმა. სიმართლე გითხრათ, არ დავუჯერე... სადღაც სიკრცეებისკენ გამექცა მზერა და... ძალიან შორეული მომერვენა მისი სურვილი...

თურმე ეს დროც უნდა მოსულიყო...

ყოველგვარი მოჩვენებითი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, ასეთ აღიარებას არც ველოდი და ალბათ, არც ვიმსახურებდი, თუმცა მიხარია და უსაზღვროდ მადლიერი ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის, პირადად ქალბატონ მაყვალა გონაშვილის.

დღეიდან, მთელი ცხოვრება გადაუხდელი ვალი მექნება გენიალური ქართველი პოეტის სახელის წინაშე, რომელიც, მისთვის რომ გეკითხათ და მეც რომ მკითხოთ, პოეზიის მეფე იყო, პირველიც იყო, მეორეც, მესამეც და... ალბათ ასე იქნება სულ...

გაზეთი „ახალგორი“, რომელშიც დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები ყმაწვილობისას, გულწრფელი სიხარულით ულოცავს დავით ახლოურს გალაკტიონ ტაბიძის პრემიის მინიჭებას და მადლობას უხდის ჩვენი გაზეთის ერთგულებისათვის, აქტიური თანამშრომლობისათვის.

მტერი რომ მერვეა,
დავითის მრცხვენია,
თამარის მრცხვენია,
გიორგი ბრწყინვალის...
კი ვიპრძვი, კი ვამბობ -
ეს მინა ჩემია,
მაგრამ სისხლისფერი
შორს დარჩა ცხინვალი...
დამჩენეს... დამაგდეს
ლიახვთან, ენგურთან...
დაშალეს, ქსანზე რომ
ტაძარი ავიგე...
ათასჯერ აღმართეს
მახვილი ჩემს გულთან...
სხვა ვერა, ამ ტკივილს
ერეკლე გამიგებს!..
მაინც ხომ ტრიალებს
ოხერი სანუთრო,
მაინც ხომ ხან მზეა,
ხანაც თუ ბნელდება.
არ მინდა ნარსულით
ვინმე შევანუხო,
რაც დავთმე, მახსოვს და...
სიცოცხლე გრძელდება!

მამულო ჩემო, ყველამ დაგთმო,
ყველამ გაგნირა,
ჩამოგაქციეს, არ გაკმარეს
ასჯერ გაყოფა,
გაყიდულია ქართლის მიწა
ნაწილ-ნაწილად,
ფეხზე ჰკიდიათ შენი ყოფნა,
შენი არ ყოფნა...
მამულო ჩემო, არ ეღირსა
ამოსვლა შენს მზეს,
ამ ყრუ სოფელში, აღარ ვიცი,
ვიღას მივმართო...
ხომ შესძელი და ნამოდექი
ათასჯერ ფეხზე,
უნდა შეძლო და ერთხელ კიდევ
ნამოიმართო!

ზამთრის სურათი

მახსენდება სურათები სოფლის,
ჩემი სახლი, ჩემი ეზო-კარი,
კერიათი - შემოსალი ჭირფლით,
სარზე მძივად აწყობილი კვარი...
კვლავ ვიხსენებ
მივიწყებულ სიზმარს,



მახსოვს, მთებზე დიდი თოვლი იდო.
სალამო ხანს „მაგრდებოდა“ ბირჟა,
ამინდებზე ხშირად ბჭობდნენ

იმ დროს;

თოვლი იყო საფიქრალი მათი,
თუმც მთიელებს სხვა

საფიქრიც ჰქონდათ,
საუბრობდნენ ერთმანეთის ხათრით,
მერე რა, რომ ცოდა და თოვდა...
ლამეები ნათდებოდა სანთლით,
ხევს ნისლივით ასდიოდა ბოლი,
სულ სხვა იყო ეტიუდი ზამთრის,
ჩემის ჭვინტით გატკეპნილი

თოვლი.

მერამდენედ მახსენებდა დედა -
„ზამთარია, არ გაცივდე, შეილო.“

დღეს ყველაფერს სიზმარივით

ვხედავ

და ნარსულში დაბრუნდებას

ვცდილობ.

მაგრამ რისთვის? ჩაუვლია თოვას,
დარდს რა ვუყო -
თავს მახსენებს თუ კვლავ...
ის ზამთარი აღარასდროს მოვა,
აღარც დედა დაბრუნდება უკან.

ნილბები

ვფიქრობ და...

ფიქრითაც ვიღლები...

ვერ აცდით ამ ცოდვილ ბილიკებს...

ჩვენ ისე გვიყვარდა ნილბები,

დღეს თვითონ უფალი „გვირიგებს“...

ეჰ, მზეო, ამ გულის აღარ ხარ...

გამჩნასაც შევცოდეთ, ცხადია...

იქნებ და ღმერთს ჩვენი დანახვა,

უნილბოდ აღარც კი სწდია...

...ვინ მოთვლის ადამის მახვილი,

ანგელოზს რამდენჯერ ეკვეთა,

დღეს დახლთან ხალისით დახრილნი,

კვლავ ვითხოვთ

ნილბების შეკვეთას...

რაღა ვთქვა, სიტყვითაც ვიღლები,

ცრემლები შეაძრა მარიამს...

დღეს ყველას გვჭირდება ნილბები,

იქნებ და ეს ბოლო უამია...

ესებისა და ნოველების პრესურსში „მე და მშვიდობა“ გამარჯვებულები გამოცემისას

დასრულდა ესეების, ბლოგებისა და ნოველების კონკურსი „მე და მშვიდობა“, რომელიც მოაწყო არასამთავრობო ორგანიზაციამ U.S. Embassy Bookmobile.

ჟიურისთვის ძალიან როგორი იყო საუკეთესო ესეების გამოვლენა, რადგან მონანილებს ძალიან კარგად ჰქონდა გაზრდული მშვიდობის მნიშვნელობა.

თითოეულ კატეგორიაში გამოვლინდა გამარჯვებული ესეს ავტორები. ვულოცავთ მათ და ვუსურვებთ წარმატებებს!

პირველი ჯგუფი:

მარიამ შერმადინი

მარიამ მაჭარაშვილი

მარიამ ზოზიაშვილი და კესო ოსეფაშვილი

მეორე ჯგუფი:

მერაბი გელაშვილი

ლიზი ოსეფაშვილი

მარიამ ცისკარიძე

ყველა მონანილეს გადაეცა სერტიფიკატები და სიმბოლური საჩუქრები.

**ქველანაირი კონფლიქტი მშვიდობის
საპირისპირო ფორმა**



მერაბ გელაშვილი
ნეროვნის N3 საჯარო სკოლა

„ვფიქრობ, რომ მშვიდობის საპირისპირო ფორმა არა მარტო იმი, არამედ ყველანაირი კონფლიქტია, რომლის დროსაც ადამიანები ძალადობას იყენებენ, ჩაგრავენ ერთმანეთს და მორალურად ანადგურებენ. ყოველთვის მშვიდობის მომხრე ვიყვა, მაგრამ მიმაჩნია, რომ სამყაროში კონფლიქტი ყოველთვის იარსებებს რამდენი საუკუნეც არ უნდა გავიდეს. უნდა შეიცვალოს მათი გადაჭრის ხერხები, ადამიანებმა უნდა ისწავლონ ურთიერთგაგება, დათმობა და ეცადონ პრობლემის სამართლიანად გადაჭრას ისე, რომ არავინ მიღლოს რაიმე სახის ზიანი. ეს ოდესმე მოხდება და ლრმად მწამს, რომ სამყარო გაცილებით უსაფრთხო იქნება და საზოგადოებაც პოზიტიურად იქნება განწყობილი.

ჩემი აზრით, მშვიდობა სამყაროში ვერანაირად ვერ დამყარდება, თუ ადამიანებს არ ექნებათ შინაგანი სიმშვიდე. მე ვცდილობ ჩემი შინაგანი სიმშვიდის მართვას, რომ მან დელვას და ავრესას არ მისცეს გამომჟღავნების საშუალება, რადგან შფოთვას კარგი არაფერი მოაქვს. სიმშვიდე მნიშვნელოვანია, იგი გმატებს თავდაჯერებულობას, გხდის პოზიტიურს და კონცენტრირებულს. მეცნიერების კვლევის მიხედვით, ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ შინაგანი სიმშვიდე, მეტად დისციპლინირებულები, მენტალურად ძლიერები და ტოლერანტულები არიან.

„თუ ჩენ გვინდა, რომ მივაღწიოთ საერთაშორისო მშვიდობას, საჭიროა ბავშვებს ვასწავლოთ შინაგანი ჰარმონიულობა“, - დაგვმოძლვრა მაჲათმა განდიმ.

„ბამარჯვების მომტანი ომიც ვი გოროტებაა...“

ლიზი ოსეფაშვილი

ნეროვნის N3 საჯარო სკოლა

„მშვიდობა არის კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძნელად მისაღწევი ჰარმონია. ათასგარი შეკრება-გაერთიანება იქმნება ამ მიზნით, თუმცა, მსოფლიოში საყველთაო მშვიდობა ვერ მყარდება.“

მშვიდობის თემა ყოველ დროში მეტად აქტუალური პრობლემაა. ჩენ ვხედავთ სახელმწიფოები როგორ მტრობენ ერთმანეთს. ხშირად ომობენ, ტერორისტულ აქტებს აწყობენ, იპყრობენ, ბომბავენ... ეს ხდება უმთავრესად, რაღაც შენიღბული ფსევდოკეთილი სურვილებითა და მიზეზით. თავიანთ ნამოქმედარს, თითქოს გამართლებას უძებნიან. როდესაც ბოროტებას, რაიმე, თუმცაც, კეთილის სახელით სჩადანიან, ეს სიკეთე არ არის!

ქართველი ხალხი თავისი ისტორიის მანძილზე მუდმივად იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის, ერთ ხელში გუთანი ეჭირა, მეორეში-ხმალი და ასე „სჭედდა თავის მომავალს.“ ამის გამოძახილია გურიაში უძველეს დროში და დღესაც, პირველს მშვიდობის სადლეგრძელოს რომ სვამენ. მთაში გვერდა ასეთი მისალმება:

„- მოხველ მშვიდობით!

- მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა!“ - რაც იესოს მონაფეებისადმი მიმართვიდან „მშვიდობა თქვენდა!“ უნდა მომდინარეობდეს. დღეს ამ სიტყვის მნიშვნელობა უფრო კარგად გავიგეთ. ეს საკითხი მეტად მტკიცნეულია ჩვენთვის, როდესაც საქართველოს ტერიტორიის 20 %-ზე მეტი იუსტიციებულია, ჩვენს სახლში „რუსი დგას“, ათასობით ადამიანი დევნილებად ვიქეცით.

ომისა და მშვიდობის თემაზე არაერთი ნაწარმოები შეიქმნა. ამ საკითხით შთავონებულმა ლევ ტოლსტოიმ დაგვიტოვა რომანი „ომი და მშვიდობა“, რომელშიც ბევრი საჭიროროტო საკითხი დასვა.

ზოგიერთი ფერობს, რომ ომით წარმეული ტერიტორიის დაბრუნება მშვიდობიანად შეუძლებელია. მე ვეთანხმები ორგო ბისმარკის ცნობილ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, „გამარჯვების მომტანი ომიც კი ბოროტება, რომელიც ხალხის სიბრძნით თავიდან უნდა იქნეს აცილებული“. დიახ, მიმაჩნია, რომ დიპლომატიური ურთიერთობებით შესაძლებელია მსოფლიოში მშვიდობიანი თანაცხოვრება. ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ მსოფლიო მმართველობის იდეალურ მოდელს გვთავაზობს: „შეგან მათთა სიბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს.“

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთი გზა მშვიდობაა, ყველა ადამიანმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სამშვიდობი მისაში და ყოველი ჩვენგანი მშვიდობის მებაირალედ და მედროშედ იქცეს!“



მარიამ ცისპარიძე
წეროვნის №3 საჯარო სკოლა

“

ჩვენ ეცნა ვისენავლოთ არისავთის კატეგორია და ცერება არის შევდებ გვიპლასტ მატიდობის მატარებელს. დაოპრატიულ სახალხონობი ხალას არის უცნა უადგინებელი გვიპლობა არის სატირო ადამიანის განვითარებისას. კოლეგიუმის ცხოვრების დონის დაკვირვებას იწვევს. ეს პრინციპის მიზნით გვიპლინება გარემონტი, რათა ჩაით რევენუად ავისრულო.



კირდაპირი ძალადობა აღარ არის, მაგრამ...

მარიამ შერმატინი

წეროვნის №3 საჯარო სკოლა

„ჩვენთან, საქართველოში, ნეგატიური მშვიდობა ყოფილია, რაც „გულისხმობს პირდაპირი ძალადობის არარსებობას სახელმწიფოებს ან ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ეთნიკურად და რასობრივად ჯგუფებს შორის“. პირდაპირი ძალადობა აღარ არის, მაგრამ მაინც ვერ ვახერხებთ ერთმანეთ-თან ურთიერთობას ქართველები ოსები და აფხაზები. რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის? მე ჯერ პატარა ვარ და, სამწუხაროდ, ვერაფერი ახალი ვერ მოვიფიქრე. თუ პლაგიატობაში არ ჩამომართმევთ, იდეას ვისესხებ და ენგურის ხიდთან, ერგნეთთან და ოძისთან დავდგამ სკამებს „The best Weapon“ (საუკეთესო იარალი) იმნაირს, ოსლოში ნობელის ცენტრის წინ რომ დგას. სკამი სიგრძეში ექვსი მეტრია, თუმცა ოვალური ფორმისაა და სპეციალური დიზაინის გამო, ადამიანებს მხოლოდ ერთმანეთთან ძალიან ახლოს შეუძლიათ დაჯდომა. ინსტალაციას საფუძვლად ნელსონ მანდელას გამონათქვამი: „The best Weapon is to sit down and talk“ (საუკეთესო იარალი დავდომა და საუბარია) დაედო. ეს საკულტო სიტყვები სკამზეც არის ამოტიფირული. ამ სკამზე ქართველსა და ოსს, ქართველსა და აფხაზს დავსვამ ჯერ ორ-ორს, მერე სკამს გაზრდი და ოთხ-ოთხს. სკამბის რაოდენობასაც მოვუმატებ, მათზე დასაჯდომად ჯერ მოხუცებულებს მოვიწვევ, რათა დასხდენენ და ილაპარაკონ იმაზე, თუ რატომ გავხდით ერთმანეთისთვის უცხოები. შემდეგ შუახნის ხალხსაც შევახვედრებდი ერთმანეთს და ბოლოს ბავშვებს მოვუხმობ, იმ ბავშვებს, საერთოდ რომ არ იცნობენ ერთმანეთს. დასხდებიან და ილაპარაკებენ. სხვა რა გზა ექნებათ, სკამი არ მისცემს შორი-შორს ჯდომის საშუალებას და ეს საუბრები გახდება მშვიდობის, ხელახლა დამეგობრების საფუძვლი.

მერე, როცა ურთიერთობა დათხება, ერთ ძალიან დიდ სკამს თბილისში დავდგამ და დავპატიუებ ის და აფხაზ თანატოლებს, დავსხდებით ამ სკამზე ერთმანეთთან ახლოს და ვილაპარაკებთ მშვიდობაზე, ადამიანთა შორის სიყვარულზე, დაკარგული ურთიერთობების აღდგენაზე. ვინ იცის, იქნება კარგი შედეგი მივიღოთ...“



ჩვენ, დევნილებად დაბადებულებმა...

მარიამ მაჟარაშვილი
წეროვნის №3 საჯარო სკოლა

„რომ მკითხოთ, მშვიდობა რა არის, ალბათ გიპასუხებთ: მშვიდობაა, როდესაც არ გესმის ტყვიების ზუზუნი; არ გეშინია, რომ ვინმე სახლკარს წაგართმებს; როდესაც შენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, შეგიძლია თავისუფლად აკეთო ის, რაც გიყვარს, რაც გინდა, რაც გახალისებს. როდესაც ეს ყოველივე გვაჟევს, მას არ ვაფასებთ, მხოლოდ დაკარგვის შემდეგ ვაცნობიერებთ თუ რაოდენ ძვირფასი იყო ის.“



ჩვენ, დევნილად დაბადებულებმა, სხვა თანატოლებისგან განსხვავებით, ალბათ, უკეთ ვიცით მშვიდობის ფასი. ვერ ვნახულობთ ოჯახის წევრებს, რადგან ოუბანტების მავთულხლართები გვაშორებს. მათ ვერ შეძლეს იმ ყველაფრის მიტოვება, რასაც მთელი ცხოვრება შეალის და ყველაზე მთავარი, არ დათმეს ის, რაც ქართულია, რაც ჩვენია. მე მენატრება ჩემი ახლობლები, მათ არ შეუძლიათ გამოსვლა ოკუპირებული ტერიტორიიდან თუნდაც ერთი წუთით. მათ არ აქვთ იმის პირობები, რომ სულ იქ იყვნენ. ყოველთვის არ იჭერს მობილური, რომ დავურეკოთ და მოვიკითოთ, არ აქვთ ყველა მედიკამენტი, რომელიც შეიძლება დასჭირდეთ... ჩვენ ისინი ძალიან გვენატრება, 3 წელი არ ვინიახია. 3 წლის შემდეგ, დიდი წვალებისა და ძალისხმევის შემდეგ ბებომ მოახერხა და ცოტა ხნით გამოვიდა. არ ვიცოდი, გამხარებოდა თუ მწყენოდა, ის ხომ სამჯურნალოდ მოდიოდა. მართალია, მისი ნახვა ძალიან მინდოდა, მაგრამ არა ამ მიზეზით...“

მე და მშვიდობა

კასო ოსევაიშვილი
წეროვნის მე-3 საჯარო სკოლა

არ ვიცი, ხალხი მშვიდობას რას ეძახს, მაგრამ ჩემთვის მშვიდობა არის, ომი რომ არ ხდება, გადასახლებულნი რომ არ ვართ სხვა ადგილას. ჩვენ ვიბრძევთ ახალგორნისთვის. მართალია, პატარები ვართ, მშობლებს ჰერნიათ, რომ დიდად მაინც არ განვიცდით, – სინამდვილეში ამ პატარა ბავშვების გული ჩვენს სამშობლოს ეკუთვნის. ძალიან საწყენია, ოკუპანტის საბუთები რომ მჭირდება იმისათვის, რათა ვნახო ჩემი ნამდვილი საცხოვრებელი ადგილი და ჩავისუნთქმ ჩემი მშობლიური ახალგორნის ჰაერი. რატომ არ შეიძლება ჩემს მშობლიურ კუთხეში ყოფნა? რატომ ვკითხო რუსებს შესვლა-არ შესვლის განრიგი? რატომ უნდა მიკეთონ საბუთები? მერე ადგნენ და სულ ჩაკეტეს გზა. ამ პატარა გულში მე და მშვიდობას ვერ წარმოვიდგენ, თუ ხალხი გვერდში არ დამიდგა. არ შეიძლება ვიყო ჩემს ულამაზეს კუთხეში, სადაც ულამაზესი სახლი მაქვს, რომელშიც ჩემი ბებია ცხოვრობს? რუსებს არ შეუძლიათ სხვა კუთხეები რომ არ მიისაკუთრონ? იმაზე მეტი უნდათ, რაც აქვთ. „ტყვია არ გავარდნილაო“ ქსნის ხეობაში და ეს კუთხე ჩვენი აღარ არის, ოკუპირებულია, რა ფასი აქვს ასეთ მშვიდობას?!



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიშაშვილმა საზოგადოებას ცლიქი ანბარიში წარუდგინა

მე-4 გვერდიდან

დასრულდა. გარდა ამისა, მთავრობამ შეთანხმება გააფორმა უმსხვილეს კომპანია „ლოტჰესცჰილდ“-თან, რომელიც საქართველოს რეგიონულ ფინანსურ პაბად გარდაქმნის სტრატეგიის განვითარებაზე, ასევე ინვესტიციებისა და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიმართულებით იმუშავებს.

საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას, პრემიერმა ხაზი გაუსვა აშშ-თან საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებასა და ევროკავშირთან ურთიერთობების ინტენსიფიკაციას, ასევე ყურადღება დაუთმო რეგიონში არსებულ ვითარებას.

„ჩემს მიერ წარმოებული წარმატებული მედიაციით, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობებს შორის უმნიშვნელოვანესი შეთანხმება შედგა, ეს არის დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობისა და რეგიონის გეოპოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობის ნათელი მაგალითი“, - განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა.

ანგარიშის წარდგენისას, პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა ახალ ინიციატივებზე, მათ შორის შრომისა და სოციალური პოლიტიკის, ასევე მედიკამენტების ფასებისა და ონლაინ სათამაშო ბიზნესისთვის საგადასახადო დაბეგვრის მექანიზმის შემოღების კუთხით.

„მასშტაბური დასაქმების პროცესში, სოციალურად დაუცველ ადამიანებს შემზენება არ მოეხსნებათ, არამედ მათ სანაცვლოდ მიეცემათ ხელფასი, კონკრეტული საზოგადოებრივი საქმისთვის. მედიკამენტების გაზრდილ ფასებზე არსებული მიდგომა უნდა შეიცვალოს და მოქალაქეების მიერ წამლებზე ჯიბიდან გაღებული დანახარჯები შემცირდეს...ონლაინ კაზინოებთან დაკავშირებული ინიციატივა არა სექტორის შეფერხებას, არამედ ჩვენს მოქალაქეებზე, მომავალ თაობებზე ზრუნვას ნიშნავს“, - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს წარმატებებზე საერთაშორისო რეიტინგებში და შეაჯამა თითოეული უწყების მიერ მიღწეული შედეგები, ასევე ისაუბრა მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე, რომელთა განხორციელება, ათწლიანი განვითარების გეგმებით არის გათვალისწინებული და მომავალი წლიდან დაიწყება.

„დღეს, როდესაც ჩვენი საქმიანობის შედეგებს ვაჯამებთ და შემდგომ განვითარებაზე ვმსჯელობთ, მინდა მადლობა გადაუხსადო ყველას, ვინც თავდაუზოგავად შრომობს ჩვენი ქვეყნის წინსვლისათვის. მადლობა თითოეულ საჯარო მოხელეს, თითოეული სამინისტროს ყველა თანამშრომელს, მადლობა ყველა მინისტრს განეული საქმისათვის, ხელისუფლების ყველა რგოლის წარმომადგენლებს, მადლობა პარლამენტს, პარლამენტის თითოეულ წევრს და ჩვენი ძლიერი გუნდის თითოეულ წევრს. მადლობას ვუხდი ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, ჩვენს წამდვილ მეგობრებს დახმარებისთვის, მხარდაჭერისთვის, თანადგომისთვის. მადლობა საზოგადოების თითოეულ წევრს, ვისაც თავისი წლილი შეაქვს საქართველოს წარმატებაში. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩვენს სამაყობლიციელებს, ჩვენს გმირ ჯარისკაცებს, სახელმ-



წიფო უსაფრთხოების სამსახურის თითოეულ თანამშრომელს და მის ხელმძღვანელს, მადლობა ჩვენს გმირების, მადლობა ჩვენს ეკლესიას, საპატრიარქოს, მადლობა ჩვენს ხალხს!

მჯერა, ჩვენი საზოგადოება მთავრობის ინიციატივებს მხარს დაუჭერს და ერთან ძალისხმევით შევძლებთ, საქართველო განვითარების ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ. ჩვენ კი, რა თქმა უნდა, ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ, უნდა ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას და ხალხს მთელი გულით, თავდადებით, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ ჩვენი მოსახლეობისთვის და ქვეყნისთვის. უნდა შევქმნათ სამუშაო ადგილები, დავძლიოთ სილარიბე, მშვიდობა და კეთილდღეობა უნდა მოვუტანოთ ჩვენს ხალხს, განვითარება და პროგრესი უნდა შევიტანოთ ყველა რეგიონში, ყველა ქალაქში, ყველა მუნიციპალიტეტში. მომდევნო წლები უნდა იყოს მშვიდობიანი, სტაბილური განვითარების და აღმშენებლობის წლები! ყველას დიდი მადლობა, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბენინიერებას, სიმშეიდეს და წარმატებულ ახალ 2022 წელს! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“, - განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის ანგარიშს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრენ.

1-დან 10 ჩანარაშვი საჯარო უნიაპებში უქმე დღეები გამოსხადდა

პირველი გვერდიდან

ამასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებს დეტალური ინფორმაცია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ მიაწოდა. „ომიკრონის“ გავრცელებით გამოწვეული ახალი გარემოების გათვალისწინებით, საკონრდინაციო საბჭომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიიჩნია დამატებითი შემსუბუქების ღონისძიებებზე გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის ღამის კლუბების გახსნა.

უწყებათაშორისი საკონრდინაციო საბჭო მოქალაქეებს მიმართავს, ატარონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში, რათა ქვეყანაში მკაცრი შემზღვდავი ღონისძიებების დაწესების აუცილებლობა არ დადგეს.

პილოცავი და ძმები ახალ წელს!

ახალგორის რაიონის თითოეული სოფელი, რომლის მოსახლეობა დღეს გაფანტულია და დევნილობაშია, თავისი ღვაწლმოსილი ადამიანებით ამაყობს. ბევრი მათგანი ჩვენ გვერდით ცხოვრებით ლამაზ მაგალითს გვაძლევენ, იმისათვის, თუ როგორ უნდა ვიცხოვოთ, როგორ შევძლოთ სიკეთის, სიყვარულის თესვა, რომ სიბერის კართან უკან მოხედვისა არ გვერიდებოდეს.

83 წლის ქალბატონი, ხუთი შვილის დედა ლილი ბალხა-მიშვილი – პროფესიონალ პედაგოგი, სახალხო განათლების წარჩინებული და მრავალი სიგელის, ჯილდოს პატრონი, თბილი გულით, მოყვასის სიყვარულით გამორჩეული, დღესაც მხნე და ხალისიანი, ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს მარტო... მისი ცხოვრება, განვლილი გზა მაგალითია არა მარტო გარშემოყოფათვის, არამედ მომავალი თაობისათვის.

საუბარი ქალბატონ ლილისთან მისი ბავშვობიდან დავიწყეთ...

– რაც ასაკი მომემატა და დროც ბევრი მაქვს, ხშირად ვფიქრობ განვლილ წლებზე, ბავშვობაზე, ახალგაზრდობაზე, რა თქმა უნდა, ჩემს შვილებზე, შვილიშვილებზე, შვილთაშვილებზე...

– როგორი ბავშვობა გქონდა?

– დედა მყავდა ძალიან კარგი... მარტო გვზრდიდა მე და ჩემს დას, სკოლაში მუშაობდა, დაწყებითი კლასის მასწავლებელი იყო... სულ შრომობდა და ფუსფუსებდა... მამა არ მახსოვდა და სულ მენატრებოდა, რომ მყოლოდა... ბავშვები რომ მამას იძახდნენ, გული მტკიოდა... ეს ჩემი ბავშვობის თანამდევი სევდა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ლაღად და ბედნიერად ვგრძნობდი თავს, როგორც ყველა ბავშვი... მახსოვრობა იქდან მაქვს, მისი რომ ახალი დამთავრებული იყო და ძალიან გაჭირვებაც იდგა სოფელში. დედა მასწავლებელი იყო და პურის ტალონები გვქონდა... სოფელში რომ ვინმეს ერთი კარტოფილი ჰქონიდა, ყველა ბავშვს გაგვინარილებდა... სიკეთე, ერთმანეთის სიყვარული, გატანა, ზრუნვა, იმ დროიდან მახსოვს და ჩემი ცხოვრების მთავარი შტრიხიც ეს არის... ხომ გაგიგონიათ, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემისო“...

სკოლა რვანლიანი იყო ბალანში და ეს სკოლა დავამთავრე, მერე, მაშინ პედაგოგიური ტექნიკუმები იყო და იქ ვისწავლე, შემდეგ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე დაუსწრებლად, თან ქენქანში დაწყებითი სკოლა იყო და იქ ვმუშაობდი... 32 ბავშვი გვყავდა ამ სკოლაში.

ქენქანში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე ვლადიმერ გამხიტაშვილი. მძლოლად მუშობდა, როცა ოჯახი შევქმნით. დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი. 5 შვილი გვეყოლა: დალი, მანანა, ლამზირა, ნათელა და გია. 13 წელინადი ვიმუშავე ქენქანში, მერე ბალანის რვანლიან სკოლაში გადმოვედი. დირექტორი რამინ ჩიტიშვილი იყო, ძალიან კარგი პიროვნება...

– დედასთან ერთად მუშაობდით?

– არა. დედა მაგ დროს ბიბლიოთეკის გამგედ მუშობდა. ალარც კი მგონია, დღეს თუ ვინმე შედის ბიბლიოთეკაში, ისეთი საინფორმაციო საშუალებები აქვს დღევანდელ ახალგაზრდობას. მაშინ უფრო წიგნიერე-



ბი ვიყავით, დღეს კომპიუტერის თაობას ვეძახი ახალგაზრდობას (იცინის).

– ძნელია მარტონბა?

– ძნელია... გოგოებს თავიანთი ოჯახები აქვთ. მანანა ახალგაზრდა გარდამეცვალა, დარჩა ერთი შვილი, ნინო ქარჩხაიძე, ჩემი სული და გული. მისმა გაზრდამ და კარგმა ქალობამ გადამატანინა შვილის სიკვდილი. იღიას სახელობის უნივერსიტეტი დამთავრა და თანაეთში გათხოვდა, გიანაშვილების რძალია, თვითონ რესურსცენტრში მუშაობს.

მარტონბა ძნელია, რა თქმა უნდა. მიჩვეული ვიყავი

– შვილები, სკოლა, მოსწავლეები... 61 წელი ვიმუშავე სკოლაში. არ უნდა წამოუსულიყავი...

– ნანობთ?

– კი... ცოტა სხვანაირად წარმომედგინა, სრული ინფორმაციაც არა მქონდა და პენსიაში გავედი...

მარტონბას ხან ვერ ვგრძნობ, ძალიან ხშირად მაკითხავენ შვილები, შვილიშვილები, 14 შვილთაშვილიც მყავს.... თანაც, არაჩვეულებრივი მეზობლები მყავს. ჩემს ქუჩაზე თითქოს სპეციალურად სულ

დასასრული მე-10 გვერდზე



ჩემი სახლი მიდევლაანში, სადაც 5 შვილი გავზარდე. სულ ვნატრობ, ისე არ მომკლას ღმერთმა, ერთი ღამე რომ კიდევ არ გავათენო ამ სახლში...

გილოცავი და დაზღვება ახალ წელს!

მე-9 გვერდიდან

ჩვენი სკოლის მასწავლებლები, ჩემი ნამონაფრები ცხოვრობენ, სულ ახლოს მყავს ჩემი ბიძაშვილი ეთერი ბალხამიშვილი, მისი რძალი შორენა შერმადინი ძალიან ყურადღებიანია, ასევე ჩემი ოქროს მეზობლები თეა მიდელაშვილი, დათო მიდელაშვილი, სადმე რომ გავიდე და ცოტა შემგვიანდეს, მაშინვე მომიკითხავენ... ჩემი მეზობლები, იმ ქართული ანდაზისა არ იყოს, ცუდი მეზობელი ამომავალი მზე არის და კარგი რაღა იქნებაო, მართლა ასეა... ეხლანდელი თაობა თითქოს გაუცხოებულია, სულ მობილურებში იცემისან ან, ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ არა სცალიათ... ჩვენს უბანში მაინც ვინარჩუნებთ ყოველდღიურ ურთიერთობას... ხანდახან კი ჩვენც გაგვირბის თვალი ტელეფონისკენ... ეს ალბათ საუკუნის სენია და ვერაფერს გავაწყობთ...

დადგებითიც აქვს ამ საქმეს. ბავშვები ძალიან გათვითცნობიერებულები არიან, ყველა ინფორმაციაზე აქვთ წვდომა, თითქოს უფრო განათლებულებიც არიან... მე მაინც წიგნს ვანიჭებ უპირატესობას...

- სევდიანი დღე გაიხსენეთ...

- 83 წლისა ვარ და ბევრი სევდიანი დღე მქონდა... ქალიშვილის გარდაცვალება... სიკვდილთან ყველა უძლურია და ეს არის დიდი ტკივილი, მოურჩეული. ზოგჯერ ადამიანები ძალიან წვრილმანებზე ნერვიულობენ. ჩემი აზრით, არ ლირს დროის დაკარგვა და ნერვების დაწყვეტა უბრალო რამეზე, რისი გამოსწორებაც შეიძლება...

- რა არ გიყვარო?..

- არ მიყვარს სიბოროტით ჭორაბა, სხვისი განკითხვა, სიავე, ბილნისიტყვაობა... სევდიან დღებზე მყითხეთ... ჩვენთვის ყველაზე მძიმე დღე, ყველა ახალგორელისათვის, ხომ ის არგასახსენებელი აგვისტოა... გუშინდელივით მახსოვები... აგვისტოში არ გამოსულვარ ახალგორიდან, ვთიქონდი, სექტემბერში ბავშვები რომ მოვიდნენ სკოლაში და არ დაგხვდები, რას იტყვიან, ან რას იზამენ-მეთქი... 125 მოსწავლე გვყავდა სკოლაში, მაგრამ სექტემბერში 17-და მოვიდა... ფერწასულები, ულიმილოები... გულში მიხაროდა, რომ დაგხვდი... ვაი იმ გაკვეთილებს

და იმ ყოფას... დეკემბერი იყო და სკოლაში უცხო რამდენიმე მამაკაცი მოვიდა. მე ყველაზე ასაკით უფროსი ვიყავი და მე შევხდი. პირველი კითხვა იყო: „მუშაობს აქ ვინმე ოსი? ვინმე იცის ოსური?“ რა გნებავთ-მეთქი, ქართველი მეგონა... ჰუმანიტარული დახმარება მოგიტანეთ, ისებს უნდა გადავცეთო... შენ რატომ არ იცი ისური, შემომიღრინასავით... იმ წუთს რამ გამაკლდევა, არ ვიცი, საერთოდ გამიქრა შიშის გრძნობა... მეც შევუტიე... მალევე გაბრუნდნენ... სუფთად ლაპარაკობდნენ ქართულად.

- მოგცეს ჰუმანიტარული?..

- არა, მოგვცეს არა! ან რად გვინდოდა... მაშინ გვითხრა ჩვენმა დირექტორმა, პირადი საქმეები სახლში წაიღეთო... და ჩვენი ხეობაც დავტოვეთ... აი, სევდიანი დღე ეს იყო და ტრაგიკულიც...

ხო, იმ პირველ ბიჭს, ახალგაზრდა იყო, ქართველი რო მეგონა, - შვილო, როგორ შემოხვედი-მეთქი, მაშინ არ უშვებდნენ ქართველებს. ესაო, ჩემი ქვეყანაო და თუ მინდა, შემოვალ და თუ მინდა, არა, ვერავინ დამიშლისო, გაიჯგიმა... მიჭირს ამ დღების გახსენება...

- ქალბატონო ლილი, თავიდან რომ იწყებდეთ ცხოვრებას?

- ისევ და ისევ მასწავლებელი ვიქებოდი... ბედნიერად გავატარე 61 წელი სკოლაში ანუ მთელი ცხოვრება... ისევ იქ რომ ვცხოვრობდეთ, ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, მთელი სოფელი, მთელი ახალგორი ჩვენ ვიქებოდით. ჩემი ნამონაფრები არიან... ზოგს ველარ ვიცნობ ხოლმე. მერე ისე თბილად მომიკითხავენ, ლილი მასწავლებელი, როგორ ბრძანდებითო, გულში სითბო ჩამელვრება ხოლმე...

- რას ურჩევთ ახალგაზრდობას ან ახალგაზრდა კოლეგებს?

- ხშირად მიფიქრია, რომ სკოლაში შემთხვევით არ უნდა მოხვდეს არავინ. მასწავლებელი ქვეყნისა და სოფლის ახალგაზრდობის სულის



მჭედელია მოძლვარივით... სკოლაში მოვალეობისა და ხელფასის გამო კი არა, ბავშვების სიყვარულით, მათ კარგ ადამიანებად ჩამოყალიბების გზების მიებით უნდა იყოს დაკავებული. განათლება და მასწავლებლის ალლო, მოთმინების უნარი, სიტუაციის განჭვრეტა ჰაერივით სჭირდება ახალგაზრდა მასწავლებელს. ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე. მასწავლებელმა ბავშვებს საგანთან ერთად უნდა ასწავლოს პრობლემებთან გამელავება, მიზანდასაულობა, ნარმატებისაკენ სწორი, ჭეშმარიტი გზით სიარული... ქვეყნისა და სოფლის, ოჯახისა და სკოლის წინაშე პასუხისმგებლობა სკოლიდან თუ არ გაჟყვა ბავშვს, ძნელად მიაღწევს ცხოვრებაში რამეს. თანამდებობა არ არის მთავარი, არც ფული და ქონების შეძენა, მთავრია ილიასულად ჰკითხოს თითოეულმა მათგანმა თავს: „აპა, დღეს მე ვის რა ვარგებო“ და მაშინ ცხოვრება მშვენიერი გახდება... ალარ შეგვემინდება ტელევიზორის ჩართვის და საშინელი ამბების მოსმენის, ალარ შეგვემინდება მოზარდის სახლიდან გასვლის, ქვეყნაში უსამართლობის დაკვიდრების...

ჩემს საყვარელ ბავშვებს და ჩემს კოლეგებს, ახალგაზრდებსაც და ხანში შესულებსაც უპირველესად ახალ წელს მივულოცავ. ბავშვებს წიგნისა და ქვეყნის სიყვარულს ვუსურვებ, კოლეგებს კი – ბავშვების სიყვარულს და მათთვის თავდადებას...

მარა ილიას სერვნა გარაფიულია

გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა
წეროვნის დევნილთა
დასახლების წმინდა
გიორგის სახელობის
ეკლესიის მღვდელმ-
სახური მამა ილია...

ჩვენი დროის ქართველი კლასიკები მწერალი გურამ დოჩანაშვილი ამბობდა, რომ ძალიან დიდი განსხვავება არა აქვს იმას, ადრე მოკვდები თუ გვიან, რადგან ბოლო მაინც ეგარის. მთავარია, თუ როგორ მოკვდები და მოასწრობ...

ძალიან ახალგაზრდა წავიდა
ჩვენგან მამა ილია... მასზე დაუს-
რულებლად შეიძლება ისაუბრო. ის
იყო მაგალითი ბერობისა, სიყვარ-
ულისა, სიმშვიდისა...

မამა ილია აფხაზეთიდან იყო. ათი
წლის მანძილზე მსახურობდა წერ-
ოვნის წმინდა გიორგის სახელობის
ეკლისიაში. იგი ბავშვების მოძღვა-
რი და დიდი მეგობარი იყო. პირ-
ველ რიგში, ბავშვებს მოაკლდათ
ის... მე ცხოვრებაში არსად მინახავს
ასეთი გლოვა. ბავშვების ქვითინ-
ის შემყურე მისი მშობლებიც კი
გაოცდნენ, მიხვდნენ, თუ რაოდენ
დიდი სიყვარული დაუთესია მათ
შვილს.

ის თვითონ დიდი ბავშვი იყო. არავის ახსოვს გაბრაზებული მამა ილია. შეუძლებელია, ამ ცხოვრებაში იყო ასეთი მშვიდი, თუ შენში არ არის ლკობის მაღლი.



კველანი გვლოვობდით მამა
ილიას და ვეგლოვობდით
ჩენს ყოფასაც მამა ილიას
გარეშე. გიორგიობის დღესა-
სწაულზე, ჩემი შვილის დაბ-
ადების დღეს გარდაიცვალა
მოძღვარი და არასდროს
დაავინყდება ეს დღე ჩემს
შვილს.

არ მინდა ვისაუბრო, რით
გარდაიცვალა მამა ილია.
ალბათ ასე იყო საჭირო. მხ-
ოლოდ უფალმა უწყის, ვინ
და რატომ მიდის ამ წუთის-
ოფლიდან. ჩვენ მხოლოდ ის
ვიცით, რომ ჩვენგან წავიდა
ბერი, რომელიც ჩვენი და ჩვენი
შვილების მაგალითად დარჩება
ყოველთვის.

მამა ოლია ჩვენი ტაძრის ეზოში
განისვენებს. მისი სული რომ იქ
ტრიალებს, ამას ისიც მოწმობს,
რომ ბავშვები სულ იქ ტიალებენ
და სათლავს ულამაზებენ.

ღმერთმა ყველას შეგვაძლებინოს, მას მივემსგავსოთ. ჩვენ მას სიყვარულის ძერი დავარქვით. გვჯერა, იმ ძვირიდანაც ილოკობს ჩვენთვის.

ხუთი შვილის დედა
ფიქრია ვადაჭვორია
წეროვნის დევნილთა დასახლება

ՃԱՅԱ ՊՐՈՋԵԿՏ

დამლოცე, მამაო, კარი გამიღე,
შემომიყვანე მე შენს წიალში,
თორებ უზროდ დავიარები,
დრონი მიდიან დარდში, ტიალში.
დამლოცე, მამაო, კიდევ დამლოცე,
ვეღარ ველევი ცოდვათა მორევს,
შენი სიტყვები გულში მეღვრება:
რომ მაცხოვარი არ მიგატოვებს.
დამლოცე მამაო, მალლა ზეციდან
კიდევ დარეცე ცისკარის ზარი,
ბავშვების ქვითინს რა დამავიწყებს,
რატომ დახუჭა მამაომ თვალი.
დამლოცე, მამი, შენდობას ვითხოვ,
რადგან ცრემლები ვერ შევიკავე,
როდესაც გულზე მიწას გაყრიდი,
მაშინ ვინანე, რად შეგიყვარე.
დამლოცე, მამაო, კიდევ დამლოცე,
არ მომაცილო ნუგეშის თვალი,
სადაც კი მიწას ფეხი დაადგი,

ლოცვა მიცვალებულთათვის

մոռեկեցնց, սպալոր լմերոտ հիշենո, սազանեցա մատ սայցպնեցա հնմերնու դա և սասորգօտա թենուա աջարալուղ- եցու մռննու դա թեցալու թենու դա զոտարցա սաեկորման դա կապոտմոցա- րեման, ցործատա մոմքը զեկելման դա պայմանոցատա ալմեռուղման, սպա- լոր-քմեն, մոյսպացն դա შեյնճզեն յովզելոնի թեգործքանու մատնու նցծուոնու դա սպանդուոյտնու. ուսեն, սպալոր, ոգո- նու սամարաձուուուուսա սաբանչպալուուսա դա ցեկենուուսա մուս ցուցելուուսացան պայմանուուսա նեցար-պաց դա տանածիուար սայցպն- եցա մատ զետուուտա շենտա, րոմելու գանչպիացն մոպարցա թենտա. դալա- պատու ցործքն, սպալոր, արամեց արա գանցցըն թենցան, արցա թերորցպնլուցն, արամեց ցասպացն սամեցասա նմուուսա, մամասա դա ցեսա դա նմուուսա սպալուսա, դա թեն, յրտուս սամեծուսացանսա, գանչպա- ծուուսա յիրուուցա լմերուտսա հիշենսա, դա զուուրց պայանաւսակենաց ալմուցշան- զամց մարտումաձուցքելոննու ալո- արեցն սամեցասա յրտարսցեպասա, զոն- ուու մռնկալու զեմեն մատ դա հնմենսա մատու թենցա մռմարտ, զոտարցա լուանլու գուու, մուուցալու դա մռնպալուցուու թեն- ուու նմուուտա թենտա տանա գանչպացն- ամին.

წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის
პედაგოგები და თანამშრომლები
სამძიმარს უცხადებენ მათა
გიგაურს დედის

ნანულის

მეზობლები მწუხარებით იუნ-
ასპარენ

ମୋର ଲକ୍ଷ୍ମୀଶ୍ଵରଙ୍ଗେ-ପାନ୍ଦିତ୍ୟ

მეგობრები სამძიმარს უცხადე-
ბენ ბონდო გიგაურს და მაია კა-
კაბაქეს დედისა და დედამთილის
ავტორი:

ყველგან დატოვე სიკეთის კვალი.
დამლოცვე, მამაო, კარი გამიღე,
თითქოს დასრულდა მთელი ეპოქა,
ადრე თუ გვიან, კიდევ შევჩვდებით,

სსოვნაც მეყოფა.
როსტომ გელაშვილი
25.11.2021 წ

საახალცლო საზეიმო განეურგა ახალგორის საბავშვო ბაგა-ბალში

საახალცლო საზეიმო განეურგობაა ახალგორის საბავშვო ბაგა-ბალში /ხელმძღვნელი ი. თორელაშვილი/, სადაც, მიუხედავად კოვიდპანდემიის რთული პირობებისა, ბავშვების ერთი ნაწილი მაინც მხიარულად და ხალისიანად ატარებს დღეებს. საბავშვო ბაგა-ბალში, კეთილმოსურნე აღმზრდელები მშობლიურ გარემოს უქმნიან მათ და ცდილობებს, თითოეული დღე პატარებისათვის სამახსოვრო და ლამაზი იყოს.

საზეიმო განეურგობა უკვე მთელი თვეება იგრძნობა ყველა ჯგუფში... აღსაზრდელები თავიანთი ხელებით ამზადებენ პატარა სათამაშოებს, საჩუქრებს, ნახატებს, რთავენ ნაძვის ხეს, მღერიან, ცეკვავენ, დგამენ სპექტაკლებს...



საახალცლო სამზადისთან ერთად პატარები „ჩართულნი“ არიან კორონასთან ბრძოლის საქმეში. მათ თავისი ფიქრი ფურცლებზე გადაიტანეს და ფანქრებით გამოხატავენ „როგორ ვებრძოლოთ კორონავირუსს“. ეს თემა პატარებს მოსაფიქრებლად პედაგოგმა მაკა აფაქიძე შესთავზა. მათაც არ დააყოვნეს და ლამაზი ფოტოები ნაულეს მშობლებს საბავშვო ბაგა-ბალიდან.

პრეზიდენტის სალოე ზურაბიშვილეა როგორიანების სასახლეში დევნილ ბავშვებს საახალცლო ნაძვის ხის ზემოზე უმასპინძლა



პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ორბელიანების სასახლეში დევნილ ბავშვებს საახალცლო ნაძვის ხის ზემიზე უმასპინძლა.

პატარები პედაგოგებთან ერთად შეხვდნენ პრეზიდენტს, ჩიჩილაკი შეამკეს, საჩუქრები მიიღეს, შემდეგ კი მათთვის წარმოდგენა გაიმართა.